ოზურგეთი კვლავ ტყვიით დაბინძურების საშიშროების ქვეშ რჩება

ალიონი. გაზეთი 2014-2016 წლებში აქტიურად იბრძოდა ოზურგეთში ტყვიის გადასამუშავებელი ქარხნის აშენების წინააღმდეგ.

2015 წელს შპს „მანსაროვის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა არვინდ კუმარ შარმამ ქართველ პარტნიორთან ერთად შექმნა შპს „ჯეოგადამამუშავებელი“, რომლის დირექტორად ამანპრიიტ სინგ ბჰაალლა დაინიშნა. ქართველ პარტნიორებთან ერთად შემუშავებული პროექტი გახლდათ „ვადაგასული და მწყობრიდან გამოსული ტყვიის აკუმულიატორების ჯართისა და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია.“ (საკონსულტაციო ფირმა შპს „ჯეოკონი“, რ. რჩეულიშვილი).

აღნიშნული საწარმოს აგების წინააღმდეგი ქარხნის გარშემო მჭიდროდ დასახლებული ადგილობრივი მოსახლეობა იყო, რომელიც მანამდე 2 წლის განმავლობაში ტყვიის კუსტარული დამუშავებისაგან სუნთქვით და ჯანმრთელობის სხვა სერიოზულ პრობლემებს უჩიოდნენ.

მოსახლეობა მართავდა საპროტესტო აქციებს და ხელისუფლებას დახმარებას სთხოვდა.

შპს „მანსაროვარი“ ტყვიის კუსტარულად დნობას ღამის საათებში ახდენდა. სწორედ ღამით შემოდიოდა ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე ტრაილერებით ვადაგასული აკუმულატორები. ტვირთი აფრიკის კონტინენტიდანაც კი ჩამოდიოდა.

გურიის იმჟამინდელი გუბერნატორი **გია სალუქვაძე** მოსახლეობის გვერდით დადგა.

–„ოზურგეთში არავითარი მკვნე საწარმო არ აშენდება. უფრო მეტიც, გარემოს დაცვის უარყოფითი სახის ზეგავლენის მოხდენის კატეგორიული წინააღმდეგი ვიქნები. გუბერნატორის ადმინისტრაციაში **შემოსული მოსახლეობის თხოვნისა და მედიაში არაერთგზის გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ჩვენ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვთხოვეთ აღნიშნული საკითხის შესწავლა.“**–აცხადებდა გაზეთ „ალიონთან“ გია სალუქვაძე. („ალიონი“ №47, 2015 წ.)

შემოწმებამ გარკვეული დარღვევები გამოავლინა.

ამავე პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაცია „ორჰისმა“ მდინარე აჭისწყალასა და ბუჟეის კონკრეტულ მონაკვეთზე საქართველოს რეგიონების მდინარეებში ტყვიის ყველაზე მაღალი შემცველობა გამოავლინა, ხოლო სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს გურიის სამმართველომ – ქ. ოზურგეთის ექადიის უბანში (იქ, სადაც „მანსაროვარის“ საწარმოა) ტყვიის შემცველობა დაკლული საქონლის ხორცში (4 შემთხვევა).

მდგომარეობა საგანგაშო იყო. გურიის გუბერნატორი შპს „მანსაროვარის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს არვინდ შარმას შეხვდა.

„ჯეოგადამამუშავებელი“ კვლავ ჯიუტად უარყოფდა ქარხნის საამქროში ტყვიის კუსტარულად გადადნობის ფაქტს. თუმცა გაზეთ „ალიონის“ მიერ გადაღებული ვიდეოკადრები და კვლევები საპირისპიროს აჩვენებდა. შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი. შეწყდა ტყვიის კუსტარულად გადამუშავება. დანადგარები აღმოსავლეთ საქართველოში გადაიტანეს.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დასკვნის საფუძველზე კი ახალი ქარხნის აშენება, სადაც სადაც ვადაგასული აკუმულიატორების გადამუშავებით ყოველწლიურად 15 ათასი ტონა ტყვია უნდა მიეღოთ – არ განხორციელდა.

სამწუხაროდ, დაუცველი დარჩა მდინარე აჭისწყალი, რომლის აუზშიც არის ქარხანა. ტყვიის ნარჩენები კვლავინდებურად ჟონავს და აბინძურებს აჭისწყლისა და ბუჟეის აუზებს...

გასულ ხუთშაბათს გურიის გუბერნიაში საქართველოს მწვანეთა მოძრაობის/დედამიწის მეგობრები - საქართველოს თანათავმჯდომარე **ნინო ჩხობაძეს** შევხდით და არსებული სიტუაცია გავაცანით. შეხვედრას გურიის გუბერნატორის მოადგილე გია ებრალიძე ესწრებოდა.

–ყველა მუნიციპალიტეტში უნდა იყოს გარემოს დაცვის განყოფილება, რომელიც მსგავსი საკითხებით დაინტერესდება. 2007 წელს მაშინდელი მთავრობის მიერ მიღებული კანონის გამოძახილის ეს შედეგი. 2015 წელს „ორჰისმა“ ჩვენი დავალებით გაკეთა ეს კვლევა...ტყვიის ნეიტრალიზატორი არ არსებობს. მდინარეების აღნიშნულ მონაკვეთში არ შეიძლება ბანაობა, წყლის საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის გამოყენება. ***უნდა მოხდეს ქარხნის ტერიტორიაზე ტყვიის გაჟონვის კერის იზოლაცია. ამ ხერხით უნდა შეწყდეს ტყვიის გაჟონვა*** -გვითხრა ქალბატონმა ნინო ჩხობაძემ.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 47 (10292) 10 დეკემბერი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი შეიძინა

პროექტი მომზადებულია საპროექტო კომპანია შპს „გეოანალიტიკას“ მიერ საინჟინრო გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე.

მუზეუმის შენობა აშენებულია 1980-იან წლებში და წარმოადგენს ორსართულიან, სწორკუთხოვან კარკასულ ნაგებობას.

პროექტი ითვალისწინებს: სააქტო-საკონფერენციო დარბაზის რემონტს, ხელნაწერთა და ძირითადი ფონდის დარბაზის რეაბილიტაციას, მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზებში დაცული ექსპონატებისთვის ვიტრაჟების მოწყობას, ანტრესოლის მოწყობას, სამუშაო ოთახების რემონტს, სველი წერტილების მოწყობას, ლიფტის მონტაჟს, გარე პერიმეტრზე კიბის და ფეხმავალი ბილიკის მოწყობას, შენობაში ვენტილაციის, კლიმატკონტროლის და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მონტაჟს, საინჟინრო კომუნიკაციების ნორმების შესაბამისობაში მოყვანას.

შენობის რეაბილიტაციის შემდეგ სართულები დაკავებული იქნება: საქსპოზიციო ვესტიბიულით, გასახდელით, ოფისებით, არქივით, სანიტარული კვანძებით, ლიფტით, დამხმარე ფართით.

პროექტის ღირებულებაა 1 438 000 ლარი.

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის რეაბილიტაცია 2019 წელს იგეგმება.



გუბერნატორი მუნიციპალიტეტების საკადრო პოლიტიკაში რეკომენდაციების დონეზეც არ ერევა

ზურაბ ნასარაია-„რეკომენდაციები არ მქონია იქედან გამომდინარე, რომ სამივე მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული“

–ბატონი ზურაბ, დავიწყოთ ყველაზე აქტუალური თემით. როგორ შეაფასებთ 2018 წლის 28 ნოემბერს გამართული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგს?

–არჩევნები ჩატარდა მშვიდ სამართლიან გარემოში. ჩვენ გვყავს ხალხის რჩეული პრეზიდენტი, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი. მე ვულოცავ ქართველ ხალხს, გურიას რომ სწორი არჩევანი გააკეთა.

–როგორი იყო საარჩევნო გარემო, რამდენად თავისუფალი იყვნენ საჯარო მოხელეები თავიანთი არჩევნების გაკეთებისას?

– ყველა იყო არჩევანში თავისუფალი, ყველა ადამიანს ჰქონდა საშუალება გამოეხატა თავისი პოზიცია და ხმა მიეცა იმისთვის, ვისაც მიიჩნევდა ღირსეულ კანდიდატად. საბედნიეროდ, ავირჩიეთ კანდიდატი, რომელსაც აქვს მეტი გამოცდილება და შანსი საქართველოს საკეთილდღეოდ, ჩვენს ევროპულ კოლეგებთან და სახელმწიფოებთან ითანამშრომლოს, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს ევროპასთან დაახლოებას.

–გავრცელებული ინფორმაციით, სამხარეო ადმინისტრაციის რამდენიმე თანამშრომელი, ტრადიციულად ოპოზიციის სასარგებლოდ მუშაობდა. თქვენი აზრი ამასთან დაკავშირებით.

–მე არ მაქვს მსგავსი ინფორმაცია. არ ვიცი, ვინ ვისი მხარდამჭერი იყო. არც ერთის მკვეთრად გამოხატული პოზიცია არ დაფიქსირებულა არსად. კიდევ ვიმეორებ, ყველა ადამიანი არჩევნებში იყო დამოუკიდებელი და თავისუფალი. ასე რომ, ნებისმიერს შეეძლო თავისი გადაწყვეტილება საარჩევნო ყუთთან დაეფიქსირებინა.

–ამ დღეებში ბრიუსელში იმყოფებოდით, ნატოს შტაბ-ბინასა და ევროკავშირის საათავო ოფისში. რას ეძღვნებოდა ეს შეხვედრები?

–გვქონდა შეხვედრა როგორც ნატოს შტაბ ბინაში, ასევე გაეროს ევროკომისარიატში. ამ შეხვედრებში ქართული მხარიდან მონაწილეობდა შიდა ქართლის გუბერნატორი, კულტურის მუშაკები, საზოგადო მოღვაწეები, არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები. დელეგაცია საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, დაახლოებით 20 ადამიანი იღებდა ქართული მხარიდან მონაწილეობას. შევხვდით ნატოს გენერალურ მდივანს, მის მოადგილეებს. ასევე შეხვედრები გვქონდა ევროკომისიის წარმომადგენლებთან, სადაც საუბარი იყო საქართველოს და ევროკავშირის თანამშრომლობაზე, იმ პროექტებზე რომლებიც ევროკავ-შირის მიერ არის დაფინანსებული რეგიო-

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა
„მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი
ოჰშაბათი ალიონზე

«ალიონით»

გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში ნარჩენების მართვის საკითხზე რეგიონული შეხვედრა გაიმართა

5 დეკემბერს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველოს თანათავმჯდომარე **ნინო ჩხობაძე,** გურიის გუბერნატორს ზურაბ ნასარაიას შეხვდა.

„ნარჩენების მართვის სრულყოფილი სისტემის დანერგვა ქყვეყანაში ამცირებს არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობას“ - აღნიშნული საკითხის ირგვლივ გაიმართა მსჯელობა დღევანდელ შეხვედრაზე. მონაწილეებმა მოისმინეს ასევე ინფორმაცია პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო ფაზა III“, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები/ საქართველო“- ს კომპონენტის (2015 - 2018 წლების) შედეგების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ, გუბერნატორის მოადგილე **გია ებრალიძე,** გარემოს დაცვის სფეროში ტექნიკური ექსპერტი **აკაკი ფანჩულიძე,** დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელები და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ მუნიციპალიტეტებში ხელმძღვანელობენ ნარჩენების მართვის საკითხებს.

დღეისათვის, მსოფლიოს მთავრობების ყურადღება მიმართულია ნარჩენების მართვის მეთოდების გაუმჯობესებაზე, ნარჩენებით გამოწვეული შედეგების გარემოზე ზემოქმედების პრევენციაზე, ნარჩენების შემცირების, გადამუშავებისა და ხელახლა გამოყენების მეთოდების აქტიურად დანერგვაზე. სწორედ ამ მიზნის განხორციელებას ემსახურება საქართველოში, შვეიცარიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო“, რომელსაც 2010 წლიდან ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები/საქართველო“, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ და „ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება და ნარჩენების მართვა“.

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ოზურგეთში ახალი სასტუმრო შენდება

ინვესტიციის ჯამური მოცულობა 7 000 000 ლარს შეადგენს.

პროექტის ფარგლებში, 50-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება.

სასტუმრო „მაგნიკა“-ს გახსნა 2019 წლის გაზაფხულამდე იგეგმება.

42 ნომრიანი სასტუმროს ტერიტორიაზე განთავსდება აუზი, გასართობი, კულტურული, სპორტულ-გამაჯანსაღებელი სივრცეები.

შპს „მაგნიკა“ სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობს, რაც ნიშნავს, რომ პირველი ორი წლის განმავლობაში აღებული სესხის საპროცენტო განაკვეთის 10%-ს სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ დაფარავს.

მადლობა ოზურგეთის მერს

ქ. ოზურგეთის, გენიჩესკის ქუჩის მცხოვრებლები მადლობას ვუხდით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს **კონსტანტინე შარაშენიძეს** ჩვენს ქუჩაზე ასფალტის საფარის დაგებისათვის.

ქუჩის მცხოვრებთა სახელით **მამა ერმალაოსი; ზოთა მექვაბიშვილი (გეოლოგი).**

რეგიონში განსახორციელებელი პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლები **ოთარ არევაძე** და **ბესო ბერძენიშვილი** იმყოფებოდნენ, რომლებმაც მერის მოადგილესთან ოსიკო თოთიბაძესთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან თემურ გიორგაძესთან ერთად მონიტორინგის მიზნით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული დასრულებული და მიმდინარე პროექტები: საავტომობილო გზები და ქუჩები დაათვალიერეს.

სტუმრებმა სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში ნიკო ნიკოლაძის, დაბა ლაითურის, დაბა ნარუჯის კორპუსები და სოფელ მელექედურის ბიბლიოთეკისა და სამლოცველოს შენობა მოინახულეს, რომელთა გადახურვის სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება.

ძალადობის მსხვერპლ ქალებს გურიის კრიზისული ცენტრი გაუწევს დახმარებას

ალიონი. ოზურგეთში, ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, კრიზისული ცენტრი გაისხნა. ცენტრი ძალადობის მსხვერპლ ქალებს გურიის მასშტაბით მოემსახურება. კრიზისულ ცენტრში ბენეფიციარებს ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას და იურიდიული დახმარებას გაუწევენ. **საჭიროების შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლს შესა-ლებლობა ექნება დარეკოს ცხელს ხაზზე 116 006.**

კრიზისული ცენტრი ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციი დახმარებით გახსნა.

მერი მაღლაფერიძე, ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორი: *მე დიდ იმედებს ვამყარებ ამ ორგანიზაციაზე. ვიცი რომ ოზურგეთში მსგავსი სერვისების ნაკლებობაა. იმედი მაქვს ბევრს შეეძლებთ და გავაკეთებთ იმ მსხვერპლების დასახმარებლად რომლებმაც განიცადეს ან ახლა განიცდიან ძალადობას. მნიშვნელოვანია მოხდეს ინფორმაციის სწო-რად გავრცელება „ადამიანებისთვის თქმა რომ მსგავსი დამხარების შესაძლებლობა არსებობს.*

თამარ ვაშაკიძე, გაეროს ქალთა ორგანიზაცია: *ჩვენ ბევრი წელია ვთანამშრომლობთ სახელმწიფო ფონდთან მსხვერპლებისთვის უკეთესი მომსახურებების გაწევის მიზნით. ეს უკვე მეოთხე კრიზისული ცენტრია, რომელიც გავხსენით. თბილისის, ქუთ-აისის და გორის შემდეგ ჩვენ უკე ოზურგეთში ვართ.*

გურიის კრიზისულ ცენტრს ოურისტი **ირაკლი კუტუბიძე** უხელმძღვანელებს. „სამწუხაროდ ქალებზე ოჯახში ძალადობის ფაქტებმა იმატა. ჩვენ გვჯერა რომ კოორდინირებული მუშაობით მივიღებთ გარკვეულ შედეგებს და შევამცირებთ ძალადობის ფაქტებს. მადლობა ფონდს რომ ნდობა გამოგვიცხადა. ჩემთან ერთად ცენტრში იმუშავებენ სოციალური მუშაკი, ლიანა მგელაძე და ფსიქოლოგი, ნონა მუხაშავრია“ განაცხადა მან.

„არა ძალადობას“

6 დეკემბერს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, მოსწავლე ახალგაზრდობისა და სარეკრეაციო დაწესებულებათა თეატრალურმა დასმა მინი სპექტაკლი წარმოადგინა.

სპექტაკლი საინფორმაციო კამპანიის „არა ძალადობას" ფარგლებში დაიდგა, რომელმაც მაყურებელთა განსაკუთრებული ოვაცია გამოიწვია.

სპექტაკლის დასასრულს, საზოგადოების წევრებმა აღნიშნეს თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ძალადობის წინააღმდეგ მსგავსი კამპანიის არსებობას და ამ მიმართულებით ახალგაზრდების ინიციატივებს.

ღონისძიება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლებისა და

გენდერის განყოფილების, ასევე მოსწავლე ახალგაზრდობისა და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანების ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა.

სპექტაკლი ახალგაზრდა რეჟისორმა, ვახო ჩხარტიშვილმა დადგა.

გუბერნატორი მუნიციპალიტეტების საკადრო პოლიტიკაში რეკომენდაციების დონეზეც არ ერევა

ზურაბ ნასარაია-„რეკომენდაციები არ მქონია იქედან გამომდინარე, რომ სამივე მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული“

ნებში, მათ შორის გურიაშიც. დავაყენეთ საკითხები, რომ ის დაწყებული პროექტები, რომლებიც მათი დაფინანსებით მიმდინარეობს, კვლავ გაგრძელდეს და მივიღოთ მეტი დაფინანსება და მხარდაჭერა.

ნატოს შტაბბინაში შეხვედრის დროს, საქართველოსა და ნატოს სამომავლო თანამშრომლობის პაკეტზე ვისაუბრეთ. დეტალებში იქნა განხილული დღეს არსებული მდგომარეობა სხვადასხვა სახელწიფო უწყებებში რეგიონული მმართველობის დონეზეც, მივიღეთ დაპირება, რომ ნატოს შესაბამისი კომისიები განიხილავენ და იმსჯელებენ იმ საკითხებზე, რომლებიც სამომავლოდ დააჩქარებს ნატოსთან ინტეგრაციის პროცესს. ჩვენც გამოვხატეთ მზადყოფნა, რომ ნატოს მიერ მოცემულ საშინაო დავალებაში საქართველო იყოს პირნათელი.

—გვინდა საკადრო საკითხებზე გკითხოთ. წელს, ზაფხულში, გურიის სამხარეო ადმინისტრაციამ გამოაცხადა კონკურსი რამდენიმე ვაკანსიაზე. ჩვენი ინფორმაციით, დასაქმების 20-მდე მსურველს ჰქონდა შემოტანილი განცხადება კონკურსში მონაწილეობისთვის. გუბერნატორად დანიშვნის შემდეგ, თქვენ ეს კონკურსი გააუქმეთ. რა იყო ამის მიზეზი?

—აღნიშნული კონკურსი მე გამოცხადებული დამხვდა. მის გაუქმებაზე გადაწყვეტილება მივიღეთ იმის გამო, რომ იგეგმება რეორგანიზაცია გუბერნიის აპარატში. გარკვეული მონახაზი უკვე გვაქვს გაკეთებული და გაგზავნილია შესა-ბამის უწყებებში. ველოდებით, თანხმობის მიღებას. სავარაუდოდ, ამ ეტაპისთვის განვახორციელებთ შიდა გადაადგილებებს. მოხდება ჩვენი თანამშრომლების ფუნქციების გამიჯვნა. ახალი თანამშრომლების მიღე-ბაზე სამომავლოდ მივიღებთ გადაწყვეტილებას. ამ ეტაპზე განხილვის პროცესში ვართ.

—თქვენ ახლო ურთიერთობაში ხართ რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტის მერთან. აძლევთ მათ რეკომენდაციებს და ეხება თუ არა ეს საკადრო საკითხებს?

—რეკომენდაციები არ მქონია გამომდინარე იქედან, რომ სამივე მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული. შესაბამისად თვითონ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება თავიანთ მუნიციპალიტეტებში, ვინ ეყოლებათ თანამშრომლები. ჩვენი ერთადერთი და მთავარი მოთხოვნა არის ის, რომ შეირჩეს კვალიფიციური კადრები, რომლებიც დაკისრებულ სამსახურეობრივ მოვალეობას შეასრულებენ პირ-\ნათლად.

—ერთი წელი მიმდინარეობდა დაპირისპირება ოზურგეთის მერს კონსტანტინე შარაშენიძესა და „ქართული ოცნების“ წევრს, სოციალური სამსახურის უფროს თამარ დუმბაძეს შორის. აუდიტის სამსახურმა რამდენჯერმე შეამოწმა აღნიშნული სამსახური. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი (ამჟამად უფლებაშეჩერებული), კობა ხაბალაშვილი აცხადებს, რომ მერი მას აიძულებდა, დაეწერა ისეთი დასკვნა, რომ დუმბაძე გაეთავისუფლებინათ თანამდებობიდან. საბოლოოდ დუმბაძე სამსახურიდან გაათავისუფლეს. გქონდათ თუ არა სარეკომენდაციო საუბარი ამ თემაზე ოზურგეთის მერთან და დაინტერესდით თუ არა ამ თემით?

—კონსტანტინე შარაშენიძესთან ამ თემაზე საუბარი არ მქონია. სიმართლე გითხრათ, თემას ვიცნობ სოციალური ქსელით. არც ქალბატონ თამარს მოუმართავს ჩემთვის. კიდევ ვამბობ, რომ საკრებულო და მერია არის დამოუკიდებელი ერთეულები და მათ საქმიანობაში პირდაპირი ჩარევა არ არის ჩვენი მიზანი. არც კანონმდებლობა ითვალისწინებს ამას. თუმცა, თითოეული საკითხთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების უკმაყოფილება, ჩვენ უნდა ჩავერთოთ.

—შარშან, ამ დროს, ახალარჩეულმა მერმა რეორგანიზაციის პროექტი წარადგინა ოზურგეთის საკრებულოში, რომლითაც იგი გარკვეული კატეგორიის მთლიან გაუქმებას და 40 თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნას ითვალისწინებდა. რამდენიმე დღის წინ შარაშენიძემ ერთ-ერთ მედიასთან დააანონსა, რომ ახალი წლიდან კვლავ აპირებს რეორგანიზაციას. საუბრობენ, რომ ის ადამიანები რომლებიც მას არ მიაჩნია თავის მომხრედ, მოხვდება გათავისუფლებულთა სიაში. რას გვეტყვით ამაზე?

—თუ რეორგანიზაცის გადაწყვეტილებას მიიღებს მერია, საკითხი უნდა გაიაროს საკრებულოსთან ერთად. ჩემთვის ამის შესახებ ჯერ ცნობილი არ არის, ახლა გავიგე თქვენგან.

— როგორ ავხსნათ რეორგანიზაციის მიზეზი, თუ ამით ბიუჯეტის ეკო-ნომია უნდა მოხდეს, მაშინ რას ნიშნავს ა(ა)იპ-ებში გაბერილი შტატები და დამატებით ადამიანების დანიშვნა?

— მე დავინტერესდები, თუ განიხილება ეს საკითხი. შევეცდები მერთანაც გავიარო და საკრებულოსთანაც. რას ემსახურება, რა მიზანია, რატომ ხდება, არ ვიცი.

—შარშან ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ყველაზე ღია მუნიციპალიტეტად აღიარეს. ამჟამად საკრებულო, მედია ვერ იღებს საჯარო ინფორმაციებს მერიისგან მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა შესახებ და სხვა საკითხებზე...

—ყველა საჯარო სამსახური, მერია იქნება ეს თუ საკრებულო, უნდა იყოს ღია. ყველა დაინტერესებულ მხარეს ყველას უნდა ჰქონდეს ინფორმაციაზე წვდომა. თუ ეს ინფორმაცია არ მოიცავს რამე განსაკუთრებულ შეზღუდვებს და საიდუმლოს, პირად ინფორმაციას. მე ასე მივიჩნევ. ჩვენთან არც ერთი ინფორმაცია არაა დამალული.

—ახლა ყველაზე დიდ პრობლემას, უმუშევრობას შევეხოთ. თქვენი გუბერნატორობის პერიოდში რა გაკეთდა გურიის მხარეში ისეთი, რაც დამატებით სამუშაო ადგილების გაჩენას შეუწყობდა ხელს? ეს გარკვეულწილად შეამცირებდა რეგიონიდან ადამიანების მიგრაციას. როგორც მთავრობის წევრი, როგორ ფიქრობთ რა უნდა გაკეთდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად?

— ჩვენ გვქონდა გარკვეული მოლაპარაკებები პოტენციურ ინვესტორებთან. არის სხვადასხვა მიმართულებით შემოთავაზებები. ვართ განხილვის პროცესში. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში რამდენიმე საინტერესო საინვესტიციო პროექტი განხორციელდება. ერთ-ერთ საინვესტიციო პროექტია ის, რომ შეკვეთილში შენდება მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსი. ეს იქნება სარეაბილიტაციო ცენტრი. კომპანიასთან, რომელიც ამ სასტუმროს აშენებს, გვაქვს მოლაპარაკება, ჩაერთოს ნასაკირალის განვითარების პროექტში. სავარაუდოდ, როცა სპეციალისტები მოამზადებენ შესაბამის დასკვნებს და წინადადებებს, ვაპირებთ ნასაკირალში სამკურნალო თერმული აბანოების აღდგენას და სამკურნალო წყლის ეფექტურად გამოყენებას. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ აუცილებელია ტურიზმის განვითარება, რაც დამატებითი შემოსავლის წყარო იქნება.

—„ქართულმა ოცნებამ“ 2012 წელს კოჰაბიტაცია გამოაცხადა. თუმცა, დაპირისპირება „ნაციონალებსა“ და „ოცნებას“ შორის გასცდა პოლიტიკურ ჩარჩოებს. როგორ მიგაჩნიათ, სამართლიანობის აღდგენის პროცესი როგორ უნდა წარიმართოს?

—სამართლიანობის აღდგენა ხდება მაშინ, როცა თითოეული მოქალაქე გრძნობს, რომ მისი უფლებები არის დაცული და არ არის ვინმე მასზე უპირატესი. მას ყველა საკითხთან დაკავშირებით იგივე უფლება გააჩნია, რაც სხვას. შესაბამისად სამართლიანობის აღდგენაც ამ კუთხით უნდა წარიმართოს.

—ამ მიმართულებით ხელისუფლებამ რა ნაბიჯები გადადგა?

— ბუნებრივია, გააკეთა კოჰაბიტაცია. ზუსტად იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ არ ვართ ის ხელისუფლება, რომელსაც აქვს აგრესია და ადამიანთან კონკრეტული ჯგუფების დაშინებას, დაშანტაჟებას ახდენს. „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა“. ასეა, კოჰაბიტაციასაც კარგი დამნახავი და შემსრულებელი ჭირდება. სამწუხაროდ, ბევრმა არასათანადოდ გამოიყენა კოჰაბიტაცია.

ესაუბრნენ
მარი კოპოევი,
ნუგზარ ასათიანი.

ოზურგეთის ბუჯეტში ცვლილებები და დამატებები შეიტანეს

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.“

საკითხი მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა გია მამაკაიშვილმა წარმოადგინა.

მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი 1 653 686,77 ლარით გაიზარდა.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიების განხორციელების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან **ოზურგეთის მუნიციპალიტეტს სპეციალური ტრანსფერი 1 000 000 ლარი გამოეყო.**

შემოსავლების ნაწილში გრანტები 263 086,77 ლარით გაიზარდა; ქონების გადასახადი –390 000 ლარით;

რა გაიზარდა დასახელებული თანხებით:

ზოგადი განათლების ხელშეწყობა, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯი –263 086,77 ლარით;

ოზურგეთის საკრებულო, შრომის ანაზღაურება (ახლადშექმნილი ფრაქციების დაფინანსება) –36 000 ლარით;

მუნიციპალური ტრანსპორტი –6 000 ლარი;

კომუნალური მომსახურების ცენტრი (საწვავი, ტექნიკის გადაადგილება) – 32 000 ლარი;

სკოლამდელი განათლების დაფინანსება, (კვების თანხა: ნოემბერი, დეკემბერი) –200 000 ლარი;

ზოგადი განათლების ხელშეწყობა (წარმატებული მოსწავლების დაფინანსება)–25 000 ლარი;

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების დაჯილდოება) –10 000 ლარი;

სპორტული ობიექტების დაფინანსება (რაგბი და სხვა) –40 000 ლარი;

კულტურის ობიექტების დაფინანსება (მუსიკალური სკოლა, თოჯინების თეატრი, ანსამბლი „გურია“) –11 600 ლარი;

ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით – 30 000 ლარი;

შემცირდა:

ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით –7 000 ლარით;

კულტურის ღონისძიების დაფინანსება – 30 000 ლარით;

შესაბამისად გაიზარდა:

თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით -7 000 ლარით;

სპორტული ობიექტების დაფინანსება –30 000 ლარით.

საკრებულომ აღნიშნული ცვლილებები დაამტკიცა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი საჯაროდ განსილ ხუთშაბათს განიხილეს

გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების შემდეგ მერიამ ბიუჯეტის კორექტირებული პროექტი დღეს, 10 დეკემბერს უნდა წარმოადგინოს.

ალიონი. 6 დეკემბერს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საჯაროდ განიხილეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც 24 მილიონ 186 ლარით არის განსაზღვრული. იგი პრიორიტეტების მიხედვით - ინფრასტრუქტურის განვითარება, განათლება, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - ნაწილდება სხვადასხვა პროგრამებში.

აღნიშნული პროგრამები და პარამეტრები დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს მუნიციპალიტეტის მერმა **კონსტანტინე შარაშენიძემ** და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა **გია მამაკაშვილმა.**

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტისადმი გაკეთებულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე ისაუბრეს საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ და მოადგილე **გიორგი ღურჯუმელიძემ.** დარგობრივი კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი წინადადებები შეჯამდა და აისახა, დასკვნებში.

ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე:

- პროექტში არ ჩანს განსახორციელებელი პროექტების აღწერილობითი ნაწილი, შუალედური და საბოლოო შედეგები და მათი გაზომვის ინდიკატორები. საბიუჯეტო წლის ბიუჯეტში უნდა აისახოს 2019 წლის განსახორციელებელი პროექტების აღწერილობითი ნაწილი შუალედური ან საბოლოო შედეგები და ინდიკატორები;

- ბიუჯეტის პროექტში გამოყოფილი ახალი ქვეპროგრამის - „სოფლის მხარდამჭერი პროგრამების“ დაფინანსებაზე წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი აღნიშნულ ქვეპროგრამასთან მიმართებაში არ იძლევა შესაძლებლობას ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულებისათვის განსაზღვრული დაფინანსების ოდენობის შესახებ.

- მუნიციპალიტეტისთვის დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება შშმ პირთა ინტეგრაციის საკითხი. სამწუხაროდ, არა თუ მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობაც კი არ არის ადაპტირებული და შშმ პირებზე მორგებული. მიზანშეწონილია 2019 წლის ბიუჯეტში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა;

- ბიუჯეტის პროექტში არ არის გათვალისწინებული არც ერთი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, იმ ფონზე, როცა აღსაზრდელთა კონტიგენტის სი-დიდის გამო, საბავშვო ბაღების ჯგუ-ფები გადატვირთულია. კომისია მოი-თხოვს 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტში აისახოს აღნ-იშნული პრობლემა;

- ასევე გათვალისწინებულ უნდაიქნეს სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის ხელფასის ზრდა მინიმუმ 50 ლარის ოდენობით.

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებაში მიღწეული ერთგვარი წარმატების მიუხედავად, კვლავ შეინიშნება აღნიშნული მიმართულებით გარკვეული ხარვეზები. არასაკმარისია ნიშნება აღნიშნული მიმართულებით გარკვეული ხარვეზები. არასაკმარისია დღევანდელ რეალობასთან ადაპტირებული სანაგვე ურნების რაოდენობა.

- ბიუჯეტის პროექტი სრულყოფილად პროგრამული ფორმატით არ არის წარმოდგენილი, თუმცა ამ მიმართულებით წინსვლა შეინიშნება. ასევე მისასალმებელია ბიუჯეტის ფორმირების პროცესში საჭიროებების კვლევის ჩატარება

შემდეგ კითხვა-პასუხის რეჟიმში საკრებულოსა და მერიის წარმომადგნელებმა არასამთავრობო და მედია სექტორის წარმომადგნელების შეკითხვებს უპასუხეს.

საკრებულოს მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების შემდეგ მერიამ ბიუჯეტის პროექტი დღეს, 10 დეკემბერს უნდა წარმოადგინოს. საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, საკრებულოში დაგეგმილია უკვე კორექტირებული ბიუჯეტის განხილვა ყველა სამსახურისა და მხარჯავი დაწესებულების უშუალო ჩართულობით.

ბიუჯეტის საჯარო განხილვა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის(**NDI**),ადგილობრივი თვით-მმართველობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. პროგრამა დაფინანსებულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (**USAID**) მიერ.

„გაცოცხლებული მუზეუმი“ – ვიდეოგზამკვლევი ტურისტებისათვის

ალიონი. 6 ნოემბერს ოზურგეთის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში შედგა პრე-ზენტაცია ვიდეოგზამკვლევისა „გაცო-ცხლებული მუზეუმი“. ღონისძიება მიჰყავდა სცენარის ავტორს, ქალბატონ **მაია გელაშვილს,** რომელიც, ამავე დროს, წამყვანად გვევლინება აღნიშნულ ვიდეორგოლში.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ „გაცოცხლებული მუზეუმი“ გულთბილად მიიღო პრეზენტაციაზე დამსწრე როგორც ადგილობრივმა, ისე უცხოელმა ადამიანებმა მათი თქმით, ეს ფილმი მნიშვნელოვან როლს შეას-რულებს გურიის ტურიზმის შემდგომ განვითარებაში.

პრეზენტაციის დაწყებამდე მაყურებლის წინაშე თითო მუსიკალური ნომრით წასდგნენ პროექტში მონაწილე ანსამბლები **„ვახტანგური“** და **„სამშვენისი“.**

როგორც შეხვედრაზე მაია გელაშვილმა განაცხადა, ვიდეოგზამკვლევი მომზადდა „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისთვის“ პროექტის ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მის შინააარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ პროექტის განმახორციელებელი პარტნიორები. ვიდეოგზამკვლევის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

გრანტი გაიცა მუნიციპალიტეტსა და ევროკავშირს შორის დადებული გრანტის ხელშეკრულების საფუძველზე.

ქვეგრანტის გამცემია ა(ა)იპ „ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი“ (ხელმძღვანელები – მ**ინდია სალუქვაძე** და **ლევან მჟავანაძე**).

პროექტის მიზანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, ქართული ფოლკლორის დაცვა და პოპულარიზაცია. ტურისტული ინტერესის მქონე საჯარო ადგილის – მუზეუმისაკენ მიზიდულობის გაზრდა უცხოელი და ადგილობრივი ტურისტების მხრიდან.

ვიდეოგზამკვლევში ქართული ხალხური სიმღერებით გაცოცხლებულია გურიის მხარის ეთნოგრაფიული სურათები. ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპონატების გამოყენებით ეთნომუსიკალური მინისცენები თვალსაჩინოდ გვიხატავენ გურულთა ყოფასა და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს. პროექტი, პირველ რიგში, განხორციელდა ტურისტებისათვის, რათა მათთვის ადვილად გასაგები, ხატოვნად აღსაქმელი და საინტერესო გახდეს მუზეუმის დათვალიერების პროცესი. ამავე დროს, გზამკვლევით ისინი უკეთ გაეცნობიან საქართველოს ეთნოგრაფიას, სასიმღერო ფოლკლორს. ასევე საინტერესო იქნება ის მოსწავლე ახალგაზრდობისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვისაც.

პროექტის ხელმძღვანელი გახლავთ ოზურგეთის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი, ბატონი **ავთ-ნდილ სურგულაძე.** დისკის მომზადებასა და გამოცემაზე იზრუნა დამ-ოუკიდებელმა **ტელეკომპანიამ „გურია ტვ.“** გზამკვლევი დამზადებულია ქა-რთულ და ინგლისურ ენებზე. მისი შეძენა შესაძლებელი იქნება ოზურგეთის სამუზეუმო გართიანებაში

პროექტზე მუშაობისას გადაღებები მიმდინარეობდა შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და გიორგი სალუქვაძის სახლ-მუზეუმში.

პროექტის განმახორციელებლები მადლობას უხდიან სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მცველს მანანა ლომაძესა და გადაცემა „ეთნოფირს“ შესაბამისად ეთნოგრაფიული და ვიდეომასალის მიწოდებისათვის.

ზღაპრების კრებული ძლიერ ქალებზე

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში ოზურგეთს ცნობილი მწერალი, **პაატა შამუგია** ესტუმრა. მან, მეოთხე საჯარო სკოლის მოსწავლეებს საკუთარი ზღაპარი გააცნო, რომელიც, ერთერთია გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ გამოცემული კრებულიდან.

ზღაპრების წიგნი „იყო ერთი გოგო“ გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით გამოიცა. კრებული 12 ავტორის 21 ზღაპარს აერთიანებს. „ზღაპრები იმ ქართველ ქალებზე გვიამბობს, რომლებმაც დადებითად შეცვალეს საქართველოს ისტორია, ჩემი ზღაპრის გმირი თამარ მეფეა“ - გვეუბნება შამუგია.

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში გამართულ აქტივობებზე, გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი **მარი ჯობავა** გვიყვება.

მარი ჯობავა: კამპანიის ფარგლებში არაერთი ღონისძიება დავგეგმეთ. მათ შორის სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრები. კრებული, რომელსაც წარმოვადგენთ აერ-თიანებს სხვადასხვა ისტორიას მამაცი ქალების შესახებ, რომლებმაც შეცვალეს ჩვენი ისტორია. უკვე ვიყავით რამდენიმე რეგიონში. პაატა შამუგიას მსგავსად სხვა ავტორებიც ჩადიან რეგიონებში და საკუთარ ზღაპრებს უკითხავენ მოსწავლეებს. შეხვედრები მიზნად ისახავს სტერეოტიპული დამოკიდებულებების შეცვლას, რომლებიც უკავშირდება ქალის როლს. გვინდა რომ მომავალი თაობები აღიზარდონ სწორი ფასეულობებით, ღირებულებებით, რა-თა გარემო გახდეს მეტად თანასწორუფლებიანი.

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ კამპანია 16-დღიანია და 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე პერიოდს მოიცავს.

13 წლის ქველმოქმედი

რამდენიმე დღის წინ 13 წლის **ლუკა წიტაიშვილმა** საკუთარი ნივთები ოზურგეთში კინოთეატრის წინ გამოიტანა და სოციალური კარადა დადგა სლოგანით: „თუ გაქვს გაიღე - თუ არადა წაიღე!“

გასულ პარასკევს მას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამავჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანება გამოეხმაურა და ქველმოქმედი და ჯა-ნსაღი სულის მოზარდი, ლუკა წიტაიშვილი სატრენაჟორო დარბაზში სავარჯიშოდ მიიპატიჟა.

—მივესალმები პატარა ლუკას ინიციატივას და ქველმოქმედებას! ჩვენი სამსახური ამ უკეთილშობილეს ბავშს ტრენაჟორებით მომსახურებასა და ვარჯიშს სთავაზობს, რომ ლუკამ ფიზიკური გაჯანსაღებაც შესძლოს – აღნიშნა ოზურგეთის სპორტულ- გამავჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა, გელა შფაქიძემ.

აქციას სხვა ბავშვებიც შეუერთდნენ.

აჯანყება გურიისა და სამეგრელოს სამთავროებში

(XIX საუკუნის პირველი მესამედი)

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით

გაგრძელება. დასაწ. იხ. გაზ. „ალიონი“ №46,გვ.5



გენერალ-მაიორი ალექსი ველიამინოვი რუსთა ძირითადი ძალებით მდინარე **სუფსის** ნაპირზე იყო დაბანაკებული. 1820 წლის აგვისტოში მაიორი **მიხინი** ქაიხოსრო გურიელის ძმის, **დავით გურიელის** წინააღმდეგ იქნა გაგზავნილი. რუსები გზადაგზა წვავდნენ სოფლებს და ბრძოლებით იკავებდნენ ციხეებს. დამსჯელებმა აიკლეს და გადაწვეს სოფელი **ლეული.** დავით გურიელი მდინარე სუფსის მარცხნა ნაპირზე გადავიდა. ავჯანყებულებმა უკანდახევა იწყეს, შავი ზღვის სანაპიროს მიაღწიეს და ზღვით ფოთში გადავიდნენ, სადაც იმ დროისათვის ოსმალეთის გარნიზონი იდგა. 21 აგვისტოს ალექსი ველიამინოვი მთელი ჯარით **ჩოხატაურში** გადავიდა და 23 აგვისტოს მაიორი მიხინი სოფელ **სურებში** გაგზავნა. 24-25 აგვისტოს რუსებმა სურებში ბევრი სახლი გადაწვეს, დაარბიეს დავით ერისთავის მამული. რუსების დამსჯელ ექსპედიციას დიდი წინააღმდეგობა გაუწია გურიის მთავრის სახლთუხუცესმა **დავით მაჭუტაძემ.** მან ფოთიდან გამოიხმო დავით გურიელი და სოფელ **გრიგოლეთის** დაკავება სცადა. რუსების მხარეზე მყოფმა თავადმა **გიორგი ნაკაშიძემ** დავით მაჭუტაძესა და დავით გურიელს გრიგოლეთის დაკავების საშუალება არ მისცა. ამის შემდეგ დავით მაჭუტაძე 200 ავჯანყებულთან ერთად **ნიგოზდიდის** ციხეში გამაგრდა. რუსების დამსჯელი ექსპედიცია ნიგოზდიდისაკენ დაიძრა. დავით მაჭუტაძემ დავით გურიელთან ერთად ციხე დატოვა. რუსებმა ციხე დაანგრიეს და სოფელ ნიგოზდიდში დავით მაჭუტაძის სახლიც გადაწვეს. მოსახლეობა დამარცხებას შეეგუა და 1820 წლის 27 აგვისტოს რუსების ერთგულებაზე დაიფიცა. 28 აგვისტოს ალექსი ველიამინოვი ალექსი ერმოლოვს მოახსენებდა, რომ ავჯანყება გურიაში დამარცხებული იყო. ავჯანყების მოთავეები **ქაიხოსრო გურიელი, დავით გურიელი, დავით ერისთავი და დავით მაჭუტაძე** ოჯახებითურთ აჭარაში გაიხიზნენ.

1821 წლის 1 აპრილს იმერეთის მმართველმა გენერალ-მაიორმა პიოტრ გორჩაკოვმა პროკლამაციით (მოწოდებით) მიმართა გურიის მოსახლეობას. მან ავჯანყებულებს მოსთხოვა 11 აპრილამდე ჩოხატაურის საგუშაგოზე მაიორ მიხინთან გამოცხადებულიყვნენ და შეწყალება ეთხოვათ. პროკლამაციას თან ერთვოდა იმ გურულთა სია, რომლებიც „სამარადისოდ" განიდევნენ რუსეთის იმპერიიდან. ამ სიაში იყვნენ თავადები: ქაიხოსრო გურიელი, დავით გურიელი, **დავით ერისთავი, სიკო ერისთავი, მაქსიმე ერისთავი, ვახუშტი გუგუნავა, გიორგი მაქსიმელიშვილი, ამბაკო შალიკაშვილი, ალ. თავდგირიძე;** აზნაურები: **გურგენ ბებურიშვილი, ეტლია ბებურიშვილი, დურსუნ ბოლქვაძე, ზურაბ სენნიაშვილი, ერდიშელ თაყაიშვილი, ბუჭუა ჭყონია, გოგინიკა კალანდარიშვილი, მაქსიმე იორაიშვილი.** პროკლამაციას ასევე ერთვოდა იმ გურულთა სია, რომლებიც უნდა გამოცხადებულ იყვნენ მაიორ მიხინთან, რათა ისინი გაესამრთლებინათ. ამ სიაში იყვნენ: თავადები: **დავით მაჭუტაძე, სოლომონ ერისთავი, ფრიდონ თავდგირიძე;** აზნაურები: **სვიმონ ასათიანი, ლევან ქადაგიძე, ნოსია გოგინეიშვილი, კიკო გოგინეიშვილი, გაბრიელ ჩხატარაიშვილი.** პროკლამაციის გამოქვეყნების შემდეგ ჩოხატაურში ნებით გამოცხადნენ ან დაპატიმრებული მიიყვანეს: **ლომინ ერისთავი, ლევან ქადაგიძე, სვიმონ ასათიანი, ზურაბ ქაიხოსროს ძე სენნიაშვილი.** ლომინ ერისთავი რუსეთის ჯარში გაიგზავნა, მსახურობდა ფინეთში და მოგვიანებით გურიაში დაბრუნდა. დავით მაჭუტაძე ხელისუფლებას შეურიგდა და გურიაში ცხოვრების უფლება მიიღო.

გურიაში ავჯანყების ჩახშობის შემდეგ, კავკასიის მთავარსარდლის ბრძანების თანახმად, ალექსი ველიამინოვმა ოსმალეთში გადახვეწილ ავჯანყების მონაწილეებს მამულები და ყმები ჩამოართვა და რუსეთის ხაზინის საკუთრებად გამოაცხადა. ეს გადაწყვეტილება 1920 წლის 31დეკემბერს ოფიციალურად ეცნობა მამია გურიელს.ჩამორთმეულ მამულებში ხელისუფლებამ მოურავები დანიშნა. საგანგებო ბრძანებით მოურავებს ერმოლოვმა ასეთი განაწესი მისცა:

1. მოურავები მათი საგამგებლო მამულების საქმეთა გადაწყვეტისას უნდა დამორჩილებოდნენიმერეთის მმართველს, რომელსაც შეეძლო შეეცვალა ან, საჭიროების შემთხვევაში, დაესაჯა მოურავები; ახალ მოურავებს მთავარსარდალიამტკიცებდა;

2.მოურავები თავიანთ სამოურავოებში უნდა აეკრიფათ გადასახადები ადგილობრივი ჩვეულების მიხედვით;

3. მოურავები გადასახადების შესახებ ანგარიშს აბარებდნენ იმერეთის მმართველს;

4. ყველა იმ საკითხში, რაც სახაზინო მამულთა მართვას არ შეეხებოდა, მოურავები მთავარს ემორჩილებოდნენ; ამავე დროს ეს მოხელეები რუსეთის მოხელეებად ითვლებოდნენ;

5. თუ მოურავები მთავარს ურჩობას გაუწევდნენ,მას შეეძლო დაესაჯა ისინი, როგორც თავისი ქვეშევრდომები, მაგრამ არა როგორც მოურავები;

6. მთავარს არ შეეძლო სახაზინო მოურავისათვის ისეთი რამ დაევალებინა, რაც მოურავს თავისი მოვალეობის შესრულებაში ხელს შეუშლიდა;

7. თუ სახაზინო მოურავი მთავრისადმი უპატივცემულობას ან უხეშობას გამოიჩენდა, გურიელს რუსეთის ხელისუფლებასთან უნდა ეჩივლა, რომელიც მოურავს დასჯიდა. ალექსი ერმოლოვმა ეს განაწესი მამია გურიელს გაუგზავნა და იმედი გამოთქვა, რომ მთავარი სახაზინო მოურავების საქმიანობას ხელს არ შეუშლიდა. მოურავებისათვის მიცემული განაწესით ერმოლოვმა დაარღვია ის პირობები, რომლებიც გურიის სამთავროს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლის დროს განისაზღვრა. მამია გურიელმა

1821 წლის 8 ივნვარს ოფიციალური პროტესტით მიმართა იმერეთის მმართველის მოვალეობის შემსრულებელ გენერალ **ივანე აფხაზს**. გურიის მთავარმა ერმოლოვის ბრძანების გაუქმება და ავჯანყების მონაწილეთათვის მამულებისა და ყმების მისთვის გადაცემა მოითხოვა. 1821 წლის 10 ივნვარს მამია გურიელმა მეორე საპროტესტო წერილით მიმართა ხელისუფლებას. 1822 წლის 30 აპრილს გურიის მთავრის საპროტესტო წერილებს უპასუხა ივან ველიამინოვმა. იგი მამია გურიელის შეხედულებას არ იზიარებდა და თანაც გურიის მთავარს ურჩევდა მდგომარეობას შერიგებოდა და თავისი ურჩობით კავკასიის მთავარსარდალი არ გაეღიზიანებინა. მამია გურიელმა ველიამინოვის რჩევა არ მიიღო და კვლავ მოითხოვა ერმოლოვის ბრძანების გაუქმება. უკან დახევას არც კავკასიის მთავარსარდალი აპირებდა. მან გურიის მთავარს შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა:

1. ავჯანყების ჩახშობასა და თქვენი ხელისუფლების გადარჩენას რუსეთის ჯარს უნდა უმადლოდეთ;

2. მოღალატეთა მამულები თქვენს მამულებს რომ შეეუერთოთ, მათი ძველი პატრონები ამ მამულების დაბრუნებას შეეცდებიან და სამთავროში არეულობა დაიწყება;

3. მოღალატეთა მამულებირუსეთის ხაზინის კუთვნილებაა და მათი ძველი პატრონები მის დაბრუნებას ვერარ შეეცდებიან;

4. გურიის მთავრის ხელისუფლება სუსტია. არსებობს საფრთხე, რომ მთავრის ხელისუფლების შელახვას კიდევ შეეცადონ, რის გამოც რუსეთის ჯარი გურიაში უნდა დარჩეს..იმავდროულად ერმოლოვი ცდილობდა მამია გურიელის მომადლიერებას. გურიის მთავარი წმინდა ვლადიმერის მეორე ხარისხის ჯვრით დაჯილდოდა. გარდა ამისა, ერმოლოვის შუამდგომლობით მამია გურიელის ვაჟის, დავითის, ნათლია იმპერატორი ალექსანდრ I გახდა. მიუხედავად ამ „წყალობისა,"მამია გურიელს სამთავროს ავტონომიური უფლებების დაცვისათვის ბრძოლაზე ხელი არ აუღია. მენტები. სამეგრელოს მთავარი წინააღმდეგი არ იყო საეკლესიო რეფორმის გატარებისა, მაგრამ აღნიშნავდა, რომ რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდებოდა მისი საარსებო საშუალებები. **ლევან V დადიანის** განცხადებით, სამეგრელოში არსებული საეკლესიო მამულები ნომინალურად ეკუთვნოდა ეკლესიას, რეალურად კი ეს მამულები მთავრის საკუთრებას წრმოადგენდა. საეკლესიო მამულებიდან ნატურით და ფულით გადასახადს მთავარი ისევე იღებდა, როგორც საკუთარი მამულიდან, საეკლესიო აზნაურები და გლეხები მას ისევე ემსახურებოდნენ, როგორც საკუთარი აზნაურები და გლეხები. ლევან დადიანი ერმოლოვს სწერდა, რომ თუ მას ჩამოერთმეოდა საეკლესიოდ წოდებული მამულებიდან მიღებული შემოსავალი, მთავრის ოჯახი თავს ვეღარ ირჩენდა. სამეგრელოს მთავარი აღნიშნავდა, რომ საეკლესიო მამულები მის მფლობელობაში არსებული მთელი მამულების ნახევარს წარმოადგენდა, რის გამოც ამ მამულებიდან მიღებული შემოსავლის დაკარგვა მისთვის აუტანელი იქნებოდა.

1819 წლის 11 ივლისს საქართველოს სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველი გენერალ-ლეიტენანტი **ივან ველიამინოვი (ველიამინოვ I)** ლევან დადიანს აცნობებდა იმერეთში საეკლესიო რეფორმით გამოწვეული მღელვარების დაწყების შესახებ და მოუწოდებდა ყოველი ღონე ეხმარა სამეგრელოში სიმშვიდის შესანარჩუნებლად. ველიამინოვი განსაკუთრებულად აღნიშნავდა, რომ რუსეთის ხელისუფლება არ აპირებდა დაერღვია ის პირობები, რომლებიც სამეგრელოს სამთავროს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლის დროს განისაზღვრა. საპასუხო წერილში ლევან დადიანმა ველიამინოვს აცნობა, რომ არც პირადად ის და არც მისი ვაჟები რუსეთის იმპერატორს არ უღალატებდნენ. მას შემდეგ,რაც სამეგრელოს სამთავროს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაშიშესვლის დროს დადებული პირობის დაცვის გარანტია მიიღო, ლევან დადიანმა ფეოფილაქტ რუსანოვს წერილი გაუგზავნა და საეკლესიო რეფორმის შესახებ თავისი მოსაზრებები გაუზიარა.

1820 წლის გაზაფხულზე პეტერბურგიდან სამეგრელოში შვებულებით დაბრუნდა ლევან დადიანის ძმა, ლეიბგვარდიის პრეოპრაჟენსკის პოლკის პოდპორუჩიკი **გიორგი დადიანი.** შვებულების დასრულების შემდეგ გიორგი დადიანი პოლკში დაბრუნებას არ ჩქარობდა, რამაც დააეჭვა რუსები. რუსეთის ხელისუფლებას ცნობა ჰქონდა, რომ გიორგი დადიანის სამეგრელოში დაბრუნების შემდეგ როგორც სამეგრელოს მთავრის ოჯახში, ისე მთელ სამეგრელოში არეულობა დაიწყო. გიორგი დადიანს ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა. მას მხარს უჭერდა ბიძა, **ჭყონდიდელი მიტროპოლიტი,** რომელიც სამეგრელოს მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. რუსებს განსაკუთრებით აშფოდებდა ის, რომ გიორგი დადიანს მხარს უჭერდა ოსმალეთის ხელისუფლებასთან კავშირში შემჩნეული **ბეჟან დადიანი.** ერმოლოვი ვარაუდობდა, რომ საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ განწყობილი სამეგრელოს სამღვდელოება და რუსეთის მოძულე თავადები ახალგაზრდა გიორგი დადიანის გარშემო შემოიკრიბებოდნენ და სამეგრელოს მთავარს სერიოზულ ოპოზიციას შეუქმნიდნენ. ამიტომ იყო, რომ ივან ველიამინოვმა გადაწყვიტა გიორგი დადიანი რაც შეიძლება სწრაფად გაესტუმრებინა სამეგრელოდან, მანამდე კი მასზე მკაცრი ზედამხედველობა დაწესდა. ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა ლევან დადიანის დედაც, სამეგრელოს ყოფილი მმართველი დედოფალი **ნინო.** როცა დედოფალი კავკასიის მინერალურ წყლებზე სამკურნალოდ გაემგზავრა, რუსეთის ხელისუფლებაში შევიდა დასმენები, რომ თითქოს იგი მიმალვას აპირებდა. სამკურნალოდ მყოფ დედოფალს ჩამოაშორეს დაახლოებული პირები და სამეგრელოში დაბრუნებისაკენ მოუწოდეს. ერმოლოვმა ლევან დადიანს სთხოვა, მასთან ჩრდილო კავკასიაში, რამდენიმე ათეული კაცი გაეგზავნა, რომლებიც შემდეგ გეორგიევსკში მყოფ დედოფალ ნინოსაც მოინახულებდნენ. სინამდვილეში, კავკასიის მთავარსარდალს სამეგრელოში მიმდინარე მოვლენების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება სურდა.

(გაგრძელება იქნება)

(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918, ტ.1. გვ. 376-379)

ვულოცავთ!

დაბადებიდან 90 წლისთავს ვულოცავთ ჩვენს მეგობარს, მათემატიკის მასწავლებელს, უსაყვარლეს ქალბატონ

გუგული ძიძიგურს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ანასეულის საშუალო სკოლის 1957-58 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები.

ღირსეული მამულიშვილის ღირსეული შთამომავალი - ომარ ღლონტი

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ომარ ღლონტი ცხობილი ეხათმეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, საქართველოში ონომასტიკის (ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც საკუთარ სახელებს სწავლობს) ფუძემდებლის პროფესორ **ალექსანდრე ღლონტის** ვაჟიშვილი გახლდათ. მართალია, იგი დვაბზუში არ დაბადებულა, მაგრამ დვაბზუელები თავიანთ შვილად მიიჩნევენ. მას ძალიან უყვარდა დვაბზუ და თავისუფალი დრო თუ ექნებოდა, ხშირად სტუმრობდა სოფელს.

პროფესორი ომარ ღლონტი 1939 წლის 12 ოქტომბერს დაიბადა ქალაქ გორში. ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 41-ე საშუალო სკოლა, 1962 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი.1966-1968 წლებში მუშაობდა საკანდიდატო დისერტაციაზე მოსკოვის ვ.სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში აკადემიკოს **ა. შირიაშვილის** ხელმძღვანელობით. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი დაიცვა 1990 წელს ვილნიუსის უნივერსიტეტში.

1965 წელს ომარ ღლონტი მუშაობას იწყებს კიბერნეტიკის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად.

1968-1973 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსიტუტის მეცნიერ თანამშრომლად,1973-1983 წლებში -ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სექტორის გამგედ,1990-2006 წლებში თსუ-ს ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგედ.

2006 წლიდან სიკვდილის უკანასკნელ დღემდე 3 გზის არჩეულ იყო ზუსტ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორად.

პროფესორ ომარ ღლონტს მდიდარი სამეცნიერო შემოქმედებითი და საგანმანათლებლო ბიოგრაფია აქვს. იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე აგრძელებდა აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. არის 70-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის, 2 მონოგრაფიის და 2 სახელმძღვანელოს ავტორია. რეგულარულად მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერეციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში, სამეცნიერო ვიზიტებით იმყოფებოდა მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში, მათ შორის აღსანიშნავია ვიზიტი პარიზის პიერ და მარია კიურის უნივერსიტეტში (2002 წ.) და ვიზიტი კოპენჰაგენის უნივერსიტეტსა და მათემატიკის ინსტიტუტში (2003 წ.). მიღებული აქვს ფონდ ევრაზიის ორი, **INTANS**-ის ერთი,**TACIS**-ის ერთი, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ოთხი გრანტი, აქედან ოთხ შემთხვევაში ის იყო პროექტის ხელმძღვანელი. იგი აქტიურად მონაწილეობდა მომავალი თაობის სწავლა-განათლების საქმეში. დაუღალავად ეძებდა ნიჭიერ და პერსპექტიულ ახალგაზრდებს, უანგაროდ ეხმარებოდა მათ კვალიფიკაციის ამაღლებაში. მისი ხელმძღვანელობით სამეცნიერო ხარისხი დაიცვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაერთმა კურსდამთავრებულმა.

ომარ ღლონტი იყო ამერიკული მათემატიკური საზოგადოების წევრი 1973 წლიდან, ვიდრე სიკვდილამდე. საერთაშორისო სტატისტიკის ინსტიტუტის წევრი (ვობურგი, ნიდერლანდები, არჩეული იყო 1995 წელს), საქართველოს სტატისტიკური ასოციაციის წევრი....

მისი მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევებისა და დიდი დამსახურებების გათვალისწინებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე დაბადებიდან 75 წლის იუ-ბილესთან დაკავშირებით დაჯილდ-ოვდა თსუ-ს მედლით.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, მკითხველს გავაცნოთ ბატონი ომარ ღლონტის წარდგინება საერთაშორისო ნომინაციებზე:

– 21-ე საუკუნის 2000 გამოჩენილი ინტელექტუალი (კემბრიჯი);

– ნომინირება მილენიუმის (ათასწლეულის) ღირსების მედალზე (აშშ);

– თვალსაჩინო ლიდერობის საერთაშორისო კატალოგისათვის (აშშ);

–„21-ე საუკუნის დიდი მოაზროვნენი“, 2005 წელი (აშშ);

–„ვინ ვინ არის“ ***MARQUIS Who,s Who*** *(აშშ);*

– თანამედროვე მიღწევების საერთაშორისო „ვინ ვინ არის“ (აშშ);

–მიღწევების ადამიანი (კემბრიჯი, ინგლისი,1993).

ამ წარდგინებიდან მოვიტანთ ერთ მოწვევის ტექსტს „21-ე საუკუნის დიადი მოაზროვნენი“ (2005წ.):

„ძვირფასო დოქტორო ღლონტი:

თქვენ შერჩეული ხართ განსაკუთრებული ღირსებისათვის, რომელიც შეუდარებელია ამ საუკუნის ისტორიული ჩანაწერების თვალსაზრისით, ბიოგრაფიული საცნობარო ნაშრომების მიზანია რჩეულ პი-როვნებათა საქმიანობის, ქმედებებისა და კარიერული მიღწევების წარმოჩენა. მნიშვნელოვანია და აუცილებელი, რომ შეიქმნას საცნობარო ნაშრომი, საგანგებოდ მიძღვნილი ამ გმირობათა და მიღწევათა არსისადმი-გამორჩეული გონებისადმი, რომელიც ქმნის მათ, თქვენი ნომიცია ხელმოწერილია „21-ე საუკუნის დიდ მოაზროვნეთა“ სარედაქციო კოლეგიის რედაქტორთა მიერ.

„21-ე საუკუნის დიდი მოაზროვნენი“ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი წიგნია მსოფლიოს გავლენიან და შემოქმედებით მოაზროვნეთა უდიდეს საბიბლიოთეკო სივრცეში. კრებულში შეყვანილი არიან რჩეული მწერლები, მეცნიერები, ფილოსოფოსები, მხატვრები, მეწარმეები, კორპორაციული, სახელმწიფო და ორგანიზაციათა ლიდერები. ეს წიგნი ფოკუსირებულია იმ პიროვნებებზე, რომლებმაც დაგვანახვეს უნარი, იყვნენ დიადი ლიდერები, მოაზროვნენი, ინტელექტუალები, გამომგონებლები, ნოვატორები და ასე შემდეგ.

„21-ე საუკუნის დიადი მოაზროვნენი“ გააშუქებს თქვენს მიღწევებს, იდეებს, თქვენს პროფესიონალიმს,რითაც მოიპოვეთ გამორჩეულობა თქვენი კომპეტენციის კონკრეტულ სფეროში თქვენი უბადლო ინტელექტით. უმაღლესი სწავლების აკადემიები ამ წიგნს გამოიყენებენ თქვენი წვლილის გავრცელებისა და საზოგადოების წინსვლაში თქვენი ღვაწლის აღიარებისათვის გლობალური მასშტაბით. ასევე წარმ-ოაჩენენ თუ როგორ მუშაობდა თქვენი გონება, რათა მრავალთათვის გაეკაფა გზა“.

ომარ ღლონტის გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა **ქეთევან გოდერძიშვილმა** გამოსცა 595-გვერდიანი წიგნი „მოგონებებში გაცოცხლებული“, რომელიც მიეძღვნა მამა-შვილის ალექსანდრე და ომარ ღლონტების ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ზემოთ აღნიშნულ წიგნში ზღვა მასალაა ღირსეული მამა-შვილის შესახებ. ბატონი ომარის შესახებ მოვიტანთ აკადემიკოს ვანო კიღ-ურაძისეულ შეფასებას :

„ომარი მაღალი კლასის პროფესიონალი მეცნიერი იყო - ნიჭ-იერი, შრომისმოყვარე, ღრმად განათლებული და საოცრად მოკრძალებული, საკუთარ სამეცნიერო მირწევებზე ხმას ვერ დააცდენინებდი, არადა, ასეთი მიღწევა ბევრი ჰქონდა. ცალკე თემაა მისი ზნეობრივი სისპეტაკე, კაცთმოყვარეობა და კეთილშობილება .იგი გულნატკენი და გაცხარებული, რამდენჯერმე მი-ნახავს, მაგრამ გაბოროტებული არასოდეს, ზედმეტად მკაცრი და მომთხოვნი იყო მხოლოდ სა-კუთარი თავის მიმართ, მეგობრებსა და კოლეგებს კი ადამიანურ სისუსტეებს შედარებით იოლად შე-უნდობდა ხოლმე. ომარი ღირსე-ული მამის ღირსეული შვილი იყო, მანაც ბატონ საშას მსგავსად თა-ვისი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობით ახარა კეთილი ხე, რომელიც მომავალში არაერთ კეთილ ნაყოფს გამოიღებს.“ (ქგო-დერძიშვილი „მოგონებებში აცოცხ-ლებული“. თბ.2017 გვ.495.)

მარიკა ჯიქია-პროფესორი:„ომარ ღლონტი თავისი სპეციალობის ფარგლებში მათემატიკურ მეცნიერებაში მიჩნეულია თანამედროვე დონის მკლევარად. შესანიშნავ მათემატიკოსს ჰქონდა არაჩვეულებრივი ლინგვისტური ალღოც (ან რა გასაკვირია) და შესაშური ერუდიცია. არასოდეს აკლდა, პირიქით, მოჭარბებულად იგრძნობოდა მასში გულწრფელობა, აკადემიზმი და სულის სიფაქიზე, გასაოცარი კეთილინდისიერების, ადამიანებთან დამოკიდებულებისა და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის კვალობაზე მასთან ურთიერთობა, უპი-რველეს ყოვლისა, გონების დისციპლინირება იყო. ომარ ღლონტი იყო მუდამ ახლის მაძიებელი, ჭე-შმარიტი მეცნიერი, ალღოიანი მკლევარი, უმწიკვლო კოლეგა, სანიმუშო მეგობარი, მზრუნველი ხელმძღვანელი, ღირსეული შვილი, შესანიშნავი მეუღლე, უზადო მამა, თავდადებული ბაბუა, თავისი ენისა და ერის მოყვარე, საუკეთესო ადამიანი და ამიტომაც მას შესწევდა ძა-ლა ქადილისა... შეუძლებელია, კეთილშობილების, სათნოებისა და ადამიანთმოყვარეობის მაგალითის მიმცემი ალექსანდრე ღლონტის შვილი ასეთი არ ყოფილიყო“.

ომარ ღლონტის კიდევ ერთი აღიარება: გამოვიდა ივანე (ვანო) გორგიძის წიგნი „საქართველოს ინფორმაციის სათავეებთან“, გამოსცა საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა. ამ წიგნში ომარ ღლონტის შესახებ ვკითხულობთ: „ეს წიგნი ქართველ მეცნიერთა ნაღვაწის ჯეროვანი აღიარებაა „ამ დიდ მეცნიერთა შორისაა ომარ ღლონტი. „ბატონი ომარი სამეცნიერო ვიზიტებით იმყოფებოდა მსოფლოს წამყვან ცენრტრებში, მათ შორის: პარიზის პიერ და მარია კიურების უნივერსიტეტში (20-02 წ.) ,კოპენჰაგენის უნივერსიტეტსა და მათემატიკის ინტიტუტში (2003 წ.). 2014 წელს მონაწილ-ეობდა სალერნოს(იტალია) უნივერსიტეტისა და თსუ-ს ერთობლივ სამეცნიერო კონფერენციაში მათე-მატიკურ მოდელირებაში,რომელიც ჩატარდა სალერნოს უნივერსი-ტეტის მათემატიკის დეპარტამენტში. ეს იყო პირველი საერთ-აშ-ორისო იტალია-საქართველოს კონფერენცია და პირველი ინტერნაციონალური შეხვედრა,რომელიც შეეხება საციცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემასიმუნოლოგიას“.

ქალბატონი ქეთევან გოდერძიშვილი, ომარ ღლონტის მეუღლე: „ჩემს სუბიექტურ აზრს ომარ ღლონტის შესახებ ობიექტური საფუძველი აქვს, რეალობა კი ის გახლავთ, რომ იგი მსოფლიოში აღია-რებული მეცნიერი იყო. დღეს ამერიკა აღარავის უკვირს. ამერიკის მა-თემატიკური საზოგადოების წევრი კი ომარ ღლონტი 1973 წელს გახდა, ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როცა საბჭოთა (სსრკ) ჩაკარგული იყო საქართველო. აშშ-მ ცნო და პატივი მიაგო ჩვენი პატარა, მაგრამ დიდი კულტურისა და სამეცნიერო პოტენციალის მქონე ქვეყნის, საქართველოს მეცნიერებას და სათ-ანადოდ აღიარა ქართველი მეცნიერის ომარ ღლონტის ღვაწლი. იგი ასევე გახლდათ საერთა-შორისო სტატისტიკის (ისი)არჩეული წევრი (ვობურგი,ნიდერლანდები). ომარი იყო არაორდინალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ იგი განათლებით ფიზიკოსი იყო. მხოლოდ ამის შემდეგ მოჰკიდა ხელი მათემატიკას,თან ისეთ რთულ დარგს, როგორიცაა ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა და მსოფლიო დონის მათემატიკოსის სახელიც დაიმკვიდრა. და კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი: ომარი სკოლაში გერმანულ ენას სწავლობდა, უნივერსიტეტშიც. ინგლისური ენის დასაუფლებად უცხო ენათა ინსტიტუტის მხოლოდ ორწლიანი კუ-რსი გაიარა და ამ საფუძველს ეყრ-დნობოდა მის მიერ ინგლისური ლიტერატურის გამოყენება, ინგლ-ისურ ენაზე სტატიების წერა და ამავე ენაზე ლექციების წაკითხვა. მახსოვს, ჯერ კიდევ 80-იანი წლ-ების დასაწყისში იაპონიაში(იმ დროს ეს ქვეყანა წარმოუდგენლად მიუწვდომელი იყო ჩვენთვის) გაი-მართა მსოფლიო კონგრესი, სადაც მიწვეული იყო 80 მათემატიკოსი, მათ შორისპირადი მოწვევა გამო-უგზავნეს ომარს. არაერთგზის და-ურეკა ომარს მისმა ხელმ-ძღვან-ელმა, რუსეთის მეცნიერებათა აკად-ემიის აკადემიკოსმა ალბერტ შირ-იაევმა, რომ წასვლაზე უარი არ ეთქვა, მაგრამ გაფრენის დღეს კონგრესზე წასასვლელად ახალი სია დაიდო მოსკოვში. იაპონიიდან ომარს ჩამოუტანეს მის სახელზე იქ დამზადებული საქაღალდე კონგრესის დოკუმენტაციით“.

აქვე მინდა ავღნიშნო ქეთევან გოდერძიშვილის დამსახურება. ამ კაფანდარა, მშვენიერმა ქალბატონმა, შესაშური ენერგიით, დიდი რუდუნებით და სიყვარულით შეძლო დაეწერა სქელტანიანი მონოგრა-ფია ძვირფას მამამთილზე და შესანიშნავ მეუღლეზე. ჩემი აზრით, ამ წიგნში განივთებულია მათი საზოგადოებრივ-მეცნიერული, ასევე თანაცხოვრების ყველა ნიუანსი.

ომარის ჰობი იყო: ხატვა, კლასიკური მუსიკის და ჯაზის მოსმენა. უყვარდა ფეხბურთი, ფილატ-ელია.

2017 წლის 17 ოქტომბერს „ხაზის რადიომ გადაცემა მიუძღვნა პროფესორების მამა-შვილ ალექსანდე და ომარ ღლონტების გახსენებას. გადაცემა მიჰყავდათ ივანე ჯაფარიძესა და ეკა ტალახაძეს. მიწვეულო ჰყავდათ ომარ ღლონტის კოლეგები პროფესორები: მურთაზ დოჭვირი და ომარ ფურთუხია, ფილოლოგები: პროფ. ცირა ბარბაქაძე და ომარ ღლონტის მეუღლე, ფილოლოგიის დოქტორი ქეთევან გოდერძიშვილი“.

ომარ ღლონტი მოულოდნელად გარდაიცვალა 2015 წლის 15 იანვარს. ომარ ღლონტის გარდაცვალების შესახებ ცნობა დაიბეჭდა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, წიგნში **Who Waz Who in America**, „ვინ ვინ იყო“,2014-2016 წწ), სადაც მოთავსებულია ომარ ღლონტის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები.

ღირსეულ პიროვნებას ღირსეული ოჯახი ჰყავს: მეუღლე ქეთევან გოდერძიშვილი ფილოლოგიის დოქ-

ᲒᲒ-7

ღირსეული მამულიშვილის ღირსეული შთამომავალი -ომარ ღლონტი

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ტორი. ქალიშვილები - რუსუდანი, ფილოლოგიის დოქტორი, ხათუნა, ფილოლოგიის დოქტორი. ქალიშვილები დაოჯახებული გახლავთ.

ბატონი ომარი ჩვენ გავიცანით ალექსანდრე ღლონტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ჩამობრძანებული იყო მთელი ოჯახი პატარა შვილიშვილების ჩათვლით. ბატონი ომარი გახლდათ ძალიან უშუალო, თავმდაბალი, თვალებმოღიმარი და უზომოდ გახარებული თავისი ნათესაობის და დამსწრე საზოგადოების ხილვით. ღონისძიებას ესწრებოდნენ დვაბზუს საზოგადოება, სტუმრები ოზურგეთიდან და ფაზისის აკადემიის წევრები. სტუმრები მიწვეული იყნენ ვახშამზე. ვფიქრობ, მაშინ ბატონი ომარი ბედნიერი და კმაყოფილი იყო.

როცა ალექსანდრე ღლონტის მემკვიდრეზე ვლაპარაკობთ, უნდა აღინიშნოს თავად ბატონი ალექსადრეს დამსახურება, როგორი სიყვარულით აღზარდა მან შვილი და შვილიშვილები. მას ძალიან უყვარდა დვაბზუ, ზაფხულობით ხშირად ჩამოდიოდნენ დვაბზუში. საოჯახო არქივში შემორჩენილია ომარ ღლონტის ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია სიმინდის ტეხა დვაბზუში. ბატონი ალექსანდრე მზრუნველი და მოსიყვარულე ბაბუა იყო, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა შვილიშვილებთან, ეს არის მოყოლილი ზღაპრები თუ შემეცნებით მოგზაურობაში წაყვანა ლენინგრადს, მოსკოვს, ტალინსა თუ სხვა ქალაქებში. ხშირად ლექსებს უწერდა დიდი მეცნიერი პა-ტარა შვილიშვილებს. პატარა ხა-თუნასადმი მიძღვნილი ლექსი ას-ეთია:

„ისე შინ ვერ მოვედი,
პირიც ვერ დავიბანე'
ხათუნამ ,რომ არ მკითხოს,
ბაბუ რა მომიტანე?..
თუ სკოლიდან ხათუნა
შინ მე წამოვიყვანე,
ჩემთან ერთად მოსულიც
მკითხავს - რა მომიტანე?..

მეორე ლექსში შვილიშვილებთან ერთად მისი სამი ძმისშვილიც (ლალი, მანანა და ალენა) ფიგურირებს. იმ ზაფხულს თურმე დვაბზუში ისვენებდნენ:

„დავინახე ხუთი გოგო,
როცა გავახილე თვალი.
დედა, ღმერთო, რამდენი გვყავს,
გასათხოვი ,ღლონტის ქალი".

ხუთივე გათხოვდა ,შესანიშნავი ოჯახები ჰყავთ. შვილიშვილებმა მეცნიერებაშიც ასახელეს სახელოვანი ბაბუა. უფრო მეტიც, ხათუნა ღლონტმა წელს იმ უბანში, სადაც ბაბუა ცხოვრობდა (ამჟამად სახლში, სადაც დაბადა და გაიზარდა ალექსანდრე ღლონტი, ცხოვრობს მისი ძმისშვილი ლალი ღლონტი და მისი დიდი ოჯახი - ჭეიშვილები) შეიძინა სახლი ეზოთი .მისი სიტყვებით: „ჩემი *ბავშვობის ოცნება იყო დვაბზუში ბაბუაჩემის სოფელში შემეძინა ბინა".* ასე რომ, ალექსანდრე და ომარ ღლონტის მემკვიდრეები არ კარგავენ ფესვებს.

ამ მოკრძალებულ წერილთან ერთად მინდა ვთხოვო ოზურგეთის ხელმძღანელობას ამ დიდებული მეცნიერების სახელის უკდავსაყოფად ოზურგეთში ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მათი სახელი.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.

განცხადება

იყიდება შეშა სოფელ გურიანთაში (ციხისფერდი)

ტელ. (577) 61 89 41; (551) 00 81 08.

სულთათანა

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი თანაუგრძნობს რეჟისორ სოსო ნემსაძეს დედის გარდაცვალების გამო.

სააქციო საზოგადოება „იმედის" კოლექტივი თანაუგრძნობს ვახტანგ გოთუას დის **ლიდო გოთუა-ადეიშვილის** გარდაცვალების გამო.

ოზურგეთის ყოფილი სკოლა-ინტერნატის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის **ომარი სიხარულიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფ-კა-ვშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია იუწყება ღვაწლმოსილი პედაგოგის **ომარ სიხარულიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს №1 საჯარო სკოლის პედაგოგს, სკოლის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნათელა სურგულაძეს მეუღლის, კეთილშობილი პიროვნების, ომარი სიხარულიძის გარდაცვალების გამო

სკანვორდი





№ 45-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ექვთიმე თაყაიშვილი; ერთიანი ნარდში — იაქე; ქვეყანა ამიერკავკასიაში — საქართველო; ფინთი — ავი; გაზაფხულის ყვავილი — ია; გამოსირებული აქლემი — სირაქლემა; სკვარამი — ბნელეთი; „შეხვედრა წარსულთან" ფილმის პერსონაჟი — აკია; ლექსის სტრიქონი — ტაეპი; თაღი — არკა; ტემპერატურული სკალა — ფარენჰაიტი; ღვთის მსახურთა საცხოვრისი — კელია; კუნძული — ჰაიტი; თურქი მწერალი — ნესენი; ქსოვილის ბუსუსი — ხაო; ქალაქი შავიზღვისპირეთში — ფოთი; გიორგი შემოკლებით — გია; აპეურების სამაგრი — ტაბიკი; მე-9 ასობგერა — ი; საბერძნეთის დედაქალაქი — ათენი; შინაური ფრინველი — ციცარი; ქართული ცეკვა — განდაგანა; ყელი — ყია; დედამიშვილი — ძმა; თიხის ჭურჭელი — ჭარიკა; მერი დავითაშვილის ოპერა — ნაცარქექია; უპირველესი პროდუქტი — პური; თქვენ რუსულად — ვი; ღობის ნაწილი — სარი; დაბურული — უსიერი; პატიმარი — ტუსაღი; ქალის სახელი — ემა; საცხოვრისი — ბინა; რძის ნაწარმი — დო; წერილი — უსტარი; ქუჩის ნაწილი — ტროტუარი; ეკლიანი მცენარე — ასკილი; მდინარე ქართლში — ლიახვი; არუთინ საადიანის ფსევდონიმი — საიათნოვა; თმის საღებავი — ინა.

მადლობა ოზურგეთის თეატრს, რომ დანაშაულს ამაცილა

ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ნოემბერი პრემიერით გააცილა.

„იქ, სადაც მუნჯები ლაპარაკობენ“ – ასე ჰქვია მიხეილ ჯავახიშვილის „ჩანჩურას“ მიხედვით **თემურ ბიწაძის** მიერ გურიანთის მომცრო სცენაზე დადგმულ სპექტაკლს, რომელშიც ბატონმა თემურმა, როგორც დამდგმელმა რეჟისორმა და მხატვარმა, კიდევ ერთხელ გვაზიარა თავის მაღალ თეატრალურ ხელოვნებას.

გაგიგიათ ასეთი? კი, მუნჯები ლაპარაკობენ სცენაზე, მაგრამ სამაგიეროდ მე დავმუნჯდი პარტერში და, თუ პრემიერის შემდგომ მაჟორულად ამოთქმულ „ბრავოს“ არ ჩავთვლით, დღემდე ხმა არ ამომიღია, იმდენად შთამბეჭდავი იყო ყველაფერი.

როგორც რიგითმა მაყურებელმა, ავწონ-დავწონე, გადავაფას-გადმოვაფასე, კრიტიკის თვალითაც ვუკირკიტე, მაგრამ „ბრავოს“ თქმას მაინც ვერ ავცდი. მართლაც, ბრავო მთელ დასს, რომ ასეთი პრემიერა გვაჩუქა; პრემიერა, რომელშიც უფროსი და შუა თაობის მსახიობებთან ერთად, ახალბედებმაც გაიბრწყინეს და თანაც როგორ! კიდევ ერთხელ ბრავო!!!

რა დამავიწყებს ახალგაზრდა მსახიობის **გიორგი ჩავლეშვილის** მუნჯ ჩანჩურას, რომლის სანახავად, მეასედაც რომ გადიოდეს, სიამოვნებით მივალ თეატრში. სწორედ ამიტომ, მე დღეიდან ამ კაცის გულშემატკივარი ვარ. მჯერა, გიორგი ბევრ საინტერესო სახეს შექმნის, მაგრამ შემოქმედების პიკის პიკამდე მისულიც კი,, თავის ჩანჩურას ვერ დაივიწყებს.

თეა კეჭაყმაძის რამდენიმე როლი მინახავს, შემყვარებია მისი პერსონაჟები. ანტიკა ანუშკას კი თეა იმდენად მოერგო, რომ იტყვიან, სულში ჩაუძვრა ბოლომდე და სილამაზითა თუ მარტოხელა, იმედგადაწურული დედის უსაშველო ტკივილით ნატურალურად მოგვიყვანა იგი სცენაზე.

მეხსიერებიდან ვერ ამოვშლი **ვასტანგ ჩხარტიშვილის** ნაბაზრალ შაოს, ოხერს, თავზეხელაღებულ, უკიდურესად დინამიკურ ბოროტმოქმედს, რომელსაც სძულს ყველა და ყველაფერი, მათ შორის თავისი პირმშოც. მოკლედ, შემოქმედებითად საშიში კაცია ვახო.

არაჩვეულებრივი წყვილია **თემურ კვირკველიას** ბოქაული და **ვერიკო ხუხუნაიშვილის** ეკატერინე პავლოვნა (ბოქაულის მეუღლე). ვიცი, რომ თემურს იმ დღეს დიდი პრობლემები ჰქონდა, მაგრამ მაინც სასწაული ბოქაული გვაჩუქა, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქალბატონი **ვერიკო ხუხუნაიშვილის** მაღალმა საშემსრულებლო კლასმა, პარტნიორისადმი მაქსიმალურ ხელშეწყობასთან ერთად, ეკატერინა პავლოვნას არაჩვეულებრივი პორტრეტის შექმნამ.

რაც შეეხება ქალბატონ **ზაირა თოთიბაძეს,** ჩანჩურას დედის განსახიერებით, მან კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ დიდ მსახიობს სცენაზე ნამდვილი ფურორის მოხდენა წუთიერი როლის თამაშითაც ძალუძს.

სპექტაკლში განსახიერებული გმირებით თავიანთ შემოქმედებებს საინტერესო სახეები შემატეს **ირაკლი ვადაჭკორიამ** (ყროყინა პეტროვი), **ნინო ჯულელმა** (ფაშფაშა სონა); **გენადი ნიკოლაიშვილმა** (ბაყალი - რაშიდი); **ივანე ჩხაიძემ** (ალაფი), **ზვიად ჯორბენაძემ** (ყასაბი), **ნუგზარ ბარამიძემ** (ფრანცუზა – მოხუცი მევილიონე), თეატრის სტუდიელმა **შორენა სისარულიძემ** (ბოშა ქალი სტელა), **ივანე ჩხაიძემ** (დენშიკი); თეატრის **სტუდიელმა მოცეკვავეებმა.**

როგორც ყოველთვის, შეუდარებელი იყო **მარიკა ქვეითაიას** ქორეოგრაფია.

სპექტაკლში საინტერესო მუსიკალურ გამფორმებლად მოგვევლინა თეატრის რეჟისორი **ოთარ კუტალაძე.**

მთლიანობაში წარმოდგენამ კარგად გამოქანდაკებული, დიდი მონუმენტის შთაბეჭდილება დატოვა, რომელიც იმდენად სრულყოფილია, რომ აღარ საჭიროებს საჭრეთელს.

და ბოლოს, ასეთი წარმოდგენის უნახობა, ჩემი აზრით, დანაშაულია და მადლობა ოზურგეთის თეატრს, რომ ამ დანაშაულს ამაცილა.

თემურ მარშანიშვილი.

გურიის მხატვართა მე-8 საშემოდგომო გამოფენა

ალიონი. ოზურგეთის მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში - სურათების გალერეაში 7 ნოემბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა გურიის მხატვართა მე-8 საშემოდგომო გამოფენა, რომელშიც 150-ზე მეტი ნამუშევრით წასდგა 57 მხატვარი ოზურგეთიდან, ჩოხატაურიდან და ლანჩხუთიდან.

მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, გალერეაში მრავალი სახვითი ხელოვნების სპეციალისტი და მოყვარული მოვიდა ამ მართლაც მრავალფეროვანი გამოფენის სანახავად.

დამსწრე საზოგადოებასა და კოლეგებს გამოფენის გახსნა მიულოცა გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ **თამაზ დარჩიამ:**

„ვილოცავთ მორიგ საგაზაფხულო გამოფენას. ეს დიდი ზეიმია ჩვენთვის. როგორც იცით, თბილისში გაიხსნა სახვითი ხელოვნების გალერეა. ჩემი სურვილია თითოეული თქვენგანის ნამუშევრების ამ გალერეაში გამოფენა, რათა თქვენი შემოქმედებისა და შესაძლებლობის შესახებ გაიგოს მთელმა საქართველომ“.

გამოფენის მონაწილეებს მიესალმა სამხატვრო გალერეის დირექტორი, მხატვარი **ავთანდილ თავართქილაძე:**

„ეს გამოფენები ტრადიციულია. წელიწადში ორჯერ გურიაში მოღვაწე მხატვრებს საშუალება ეძლევათ აქ გამოფინონ და სახვითი ხელოვნების მოყვარულებს გააცნონ თავიანთი ხელოვნება. მისასალმებელია, რომ ამ გამოფენებისადმი ინტერესი წლითიწლობით იზრდება“.

სტუმართა შორის გახლდათ საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, ბატონი **გურამ ცერცვაძე,** რომელიც აღფრთოვანებული დარჩა გალერეაში შექმნილი ატმოსფეროთი:

„ოზურგეთში პირველად ვარ. აღტაცებული ვარ ყოველივე იმით, რასაც აქ ვხედავ. პირველად ვნახე აქური მხატვრების არაჩვეულებრივი გამოფენა. ეს ძალიან დიდი პატივია ჩემთვის.

მხატვართა კავშირი ძალიან დიდ საქმეს აკეთებს. სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში. იყო ისეთი პროექტები, რომელშიც არ ჩანდნენ აქაური მხატვრები. ჩვენი სურვილია მეტი ინტეგრაცია მოხდეს თბილისსა და რეგიონებს შორის.

მხატვრობა ძალიან ღრმად არის სულიერებასთან. ერთმანეთის აკ-კარვი, ერთმანეთის ფასი უნდა ვიცოდეთ.

რამდენადაც ვიცი, 2000 წელს შემდეგ თბილისში არ მოწყობილა გურიის მხატვართა რეგიონული გამოფენა, არადა, აუცილებელია. მხატვართა კავშირი - ჩვენი თითქმის ასწლოვანი ორგანიზაცია შეეცდება უზრუნველყოს ამ გამოფენის ჩატარება“.

გამოფენაზე და გურული მხატვრების შემოქმედებაზე ისაუბრეს სტუმრად ჩამობრძანებულმა მხატვართა კავშირის სხვა წარმომადგენლებმა.

სიტყვებით გამოვიდნენ პირველი ვარსკვლავოსანი მხატვარი **ვასტანგ მამეიშვილი,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის ხელმძღვანელი **მარინა ჯაფარიძე,** ჩოხატაურის სამხატვრო სკოლის დირექტორი, მხატვარი **მზია კვინტრაძე** და სხვები.

საზეიმო ცერემონიალის ბოლოს მხატვრებმა სამახსოვრო ფოტო გადაიღეს.

გამოფენა ორ თვეს გასტანს.

სესილი კორტეზი საფრანგეთში თანატოლებში ტოპ-ათეულშია

პირველი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ოზურგეთის სინამდვილეში: სესილი კორტეზი - დაკა სადრაძე

ალიონი. ოზურგეთელები კარგად იცნობენ **ანტონ კონტრიძის** ლამაზ ოჯახს. ანტონის შვილიშვილი **თამარ კონტრიძე** დაახლოებით 15 წლის წინ საფრანგეთში წავიდა სამუშაოდ. იქ შეხვდა ახალგაზრდა გასკონელ ბიზნესმენს **ფრედი კორტეზს.** დაქორწინდნენ, შეეძინათ ქალიშვილი, **სესილი.** პარიზში ცხოვრობენ.

სესილი ახლა 12 წლისაა. გარდა იმისა, რომ კარგად სწავლობს, ჩოგბურთის თამაში 8 წლის ასაკიდან დაიწყო. ამაში მას მამა ფრედი ეხმარება, რომელიც ახალგაზრდობაში თამაშობდა ჩოგბურთს და გარკვეული წარმატებებიც ჰქონდა. სესილი უკვე 4 წელია პარიზში და სხვა ქალაქებში გამართულ სხვადასხვა ტურნირში მონაწილეობს და წარმატებებს აღწევს.

სესილისათვის განსაკუთრებულად ნაყოფიერი იყო 2017-2018 წლები. ის რამდენიმე ტურნირის გამარჯვებული და ფინალისტი გახდა. მიღებული შედეგებით სესილის ჩოგბურთის დონე აუმაღლდა. მას ჩოგბურთის ფედერაციამ მილოცვა გამოუგზავნა და მიანიჭა დონე „15,“ რაც მის ასაკში კარგი მიღწევაა. სესილი საფრანგეთის მასშტაბით მის კატეგორიაში (ტოლები) ტოპ-ათეულშია.

სესილი ყოველ ზაფხულს ოზურგეთში ჩამოდის. აქ დაუახლოვდა იგი ოზურგეთელ ჩოგბურთელებს.

კახა ვასაძე, ოზურგეთში ჩოგბურთის სკოლის დამფუძნებელი: – მე და სესილის ბაბუა **კახა კონტრიძე** მეგობრები ვართ. შარშანწინ სესილი რომ ჩამოვიდა, ბაბუამ ოზურგეთის კორტებზე მოიყვანა. სესილი დაუმეგობრდა აქაურ ჩოგბურთელებს და ერთად ვარჯიშობდნენ. სესილი ძალიან პერსპექტიული ჩოგბურთელია. ძალიან უყვარს ოზურგეთი. იმდენად დაუახლოვდა აქაურ თანატოლებს, მომავალ წელს ოფიციალურ შეხვედრას გეგმავს ოზურგეთში, ოზურგეთის ჩემპიონ დაკა სადრაძესთან. ეს იქნება ამხანაგური მატჩი პარიზი-ოზურგეთი, რაც აქაურ ჩოგბურთის მოყვარულთათვის ძალიან დასამახსოვრებელი უნდა დარჩეს.

ბებია **ქეთი ბოგავა,** დიდი ბაბუა **ანტონი,** დადი ბებია **იზა** სესილის გულშემატკივრები არიან და ამ მატჩს ინტერესით ელოდებიან.

პირველი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ჩოგბურთში ოზურგეთში 2019 წლის ივლის-აგვისტოში გაიმართება.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე ღრუბელი +7+14	მცირე წვიმა +5+14	მცირე წვიმა +3+10	წვიმა +1+4	მზე, ღრუბელი +4+8	მზე, ღრუბელი +8+11	ღრუბელი +2+11
10 დეკემბერი ორშაბათი	11 დეკემბერი სამშაბათი	12 დეკემბერი ოთხშაბათი	13 დეკემბერი ხუთშაბათი	14 დეკემბერი პარასკევი	15 დეკემბერი შაბათი	16 დეკემბერი კვირა